ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7812399

ნომერი: AR11128972

თარიღი : 12.02.2026

გაცემის თარიღი : 18.02.2026

გაცნობის თარიღი : 18.02.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფონიჭალა, ღოღობერიძის ქუჩა , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ომიაძე პ/ნ 54001000504
- თბილისი დავით გამრეკელის ქ. N 1 ბ. 76

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კერძო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხისა და დრენაჟის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

მოთხოვნა დაყენებულია მამუკა ომიაძის (პირადი N54001000504) მიერ, რომელიც არ არის უფლებამოსილი განმცხადებელი ვინაიდან და რადგანაც მისი უფლებამოსილების დასტურად წარმოდგენილი არ არის უფლებამოსილი მესაკუთრის მიერ მის სახელზე წერილობით გაცემული და სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ :

- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო კონკრეტული ნაგებობის შესაბამისი ტრაექტორია (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული საპროექტო ნაგებობის ადგილმდებარეობა);
- წარმოსადგენია არსებული ხაზობრივი ნაგებობის საკუთრებისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- შპს „კ სამის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405382955) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მამუკა ომიაძის (პირადი N54001000504) სახელზე წერილობით გაცემული და სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ განმცხადებელს ნამდვილად ხელეწიფება უფლებამოსილი მესაკუთრის სახელით მომართოს საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ანუ პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურება (მინდობილობაში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად);
- წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა იმ მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობაზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოები (თანხმობა გაცემული უნდა იქნეს მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „კ სამის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405382955) მოთხოვნა - დაყენებული NAR11128972 განცხადებით და გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) და ის ნახაზი, რომლის მიხედვითაც გაცემული იქნება ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის თანხმობა (ნახაზი დამოწმებული უნდა იქნეს ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის მაიდენტიფიცირებელი ბეჭდით);
- წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ყველა აბსოლუტურად ყველა იმ მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოები (თანხმობა გაცემული უნდა იქნეს მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „კ სამის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405382955) მოთხოვნა - დაყენებული NAR11128972 განცხადებით და გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი);

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.